სსრ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

20 ოქტომბერი, შაბათი, 1990 წ.
№ 200 (10369) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეული ბრწყინვალებით

ეს მერამდენე თასია, ნინო?..

გაიმარჯვა ნინო სალუქვაძემ! ეს ტრადიციული ფრაზა ამჯერად მიუნჰენში გაისმა. ცხადია, გერმანულ უნაზე. ბავარიის დედაქალაქში დამთავრდა მსოფლიო თასის მორიგი გათამაშება პნევმატური იარაღით სროლაში. თბილისელმა სნაიპერმა ჩვეული ბრწყინვალებით იასპარეზა და, როგორც უკვე ვთქვით, პირველი ადგილი დაიკავა. 485,7 ქულა — ასეთია მისი შედეგი. „ლელოს“ მკითხველებს შევახსენებთ, რომ ამას წინათ მოსკოვში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულს, იუგოსლავიელ იასნა შეკარიჩს 483,2 ქულა ჰქონდა.

მკითხველმა გვაპატიოს და, ჩვენ უკვე სათვალავი აგვერია, რამდენჯერ მოიპოვა მსოფლიოს თასი ნინო სალუქვაძემ. ამიტომ მასვე ვკითხებით: მერამდენე თასია, ნინო?

რუსთაველი სპორტსმენი ანცვიფრებს სპეციალისტებს

რუსთაველი ახალგაზრდა მძლეოსანი ანდრეი ნაუმოვი დიდი ხანი არ არის, რაც, როგორც ნიჭიერი სპორტსმენი, გაიცნო ჯერ რუსეთს, შემდეგ მთელმა ქვეყანამ. ამ ორიოდე კვირის წინათ ნაუმოვი „შრომითი რეზერვების“ საკავშირო კროსში მონაწილეობდა და პირველი ადგილი დაიკავა 3000 მეტრზე ასპარეზობაში. საქართველოს სპორტსაზოგადოება „მართვეს“ წარმომადგენელი უმალვე აიყვანეს „შრომითი რეზერვების“ საკავშირო ნაკრებში, რომლის შემადგენლობაში ამ დღეებში ნაუმოვმა (მწვრთნელი ვ. პეტროვი) კვლავ პირველი ადგილი დაიკავა იუნიორთათვის საკავშირო თასის გათამაშების ფინალურ შეჯიბრებაში. 3000 მეტრიანი დისტანცია რუსთაველმა სპორტსმენმა ამჯერად 8.26,8 წამში დაფარა. სპეციალისტები ჩვენს მძლეოსანს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

მოზრდილებს არ დაუდეს ტოლი

როგორც ჩანს, ტყვიის მსროლელთა ეს ტურნირი, რომელიც ესტონეთის ქალაქ ნარვაში ჩატარდა, არის ბალტიისპირეთის პირველი სუვერენული ოფიციალური შეჯიბრება. ორგანიზატორებმა მოასპარეზეები თავისი შეხედულების მიხედვით მიიწვიეს. ამიერკავკასიიდან, მაგალითად, მიპატიჟებულთა სიაში აღმოჩნდა მხოლოდ საქართველო, რომელსაც, მოგეხსენებათ, სპორტის ამ სახეობაში საკმაოდ მყარი ტრადიციები აქვს. „ნარვის თასის“ დამფუძნებელ გათამაშებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე (ცხადია, ადგილობრივ სპორტსმენთა გარდა), რუსეთის ფედერაციის, მოსკოვის, ლენინგრადის, მოლდოვას და ბელორუსიის წარმომადგენლები.

შეჯიბრებაში საქართველოს მსროლელებმა (მწვრთნელები — მამა-შვილი კლიმ და დიმიტრი ფოტიევები „მართვედან“) საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს. ნარვაში უმთავრესად ახალგაზრდული გუნდი ასპარეზობდა, ოღონდ მოზრდილთა შორის და ამიტომაცაა ეს შედეგები ყურადსაღები.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით № 5 ვარჯიშში, ყველას აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ნიკოლოზ ბაბუნიამ. მან 579 ქულა დააგროვა, რაც სპორტის ოსტატის ნორმატივის გამეორებას წარმოადგენს.

ორ ვარჯიშში შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ედუარდ ხუდიევმა. პნევმატური პისტოლეტით სროლაში (ვარჯიში № 2) მას მეორე შედეგი ჰქონდა — 383 ქულა, მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში კი (ვარჯიში № 8) — მესამე (581 ქულა). სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებას ჩვენ, ამ შემთხვევაში, საგანგებოდ გავუსვით ხაზი იმიტომ, რომ ნარვაში ხუდიევი ჩავიდა როგორც ოსტატობის კანდიდატი, თბილისში კი დაბრუნდა როგორც ორგზის სპორტის ოსტატი.

უნდა აღინიშნოს სხვა ახალგაზრდა მსროლელთა კარგი გამოსვლებიც. თბილისის 169-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ვალერიან გავაშელმა, რომელიც 1974 წელსაა დაბადებული, ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა (მცირეკალიბრიანი შაშხანა, ვარჯიში № 9), დააგროვა 582 ქულა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. ასევე წარმატებით იასპარეზა მისმა თანატოლმა, 88-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ტატა კიკნაძემ, რომელმაც პნევმატური პისტოლეტით სროლაში (ვარჯიში № 2) მეშვიდე ადგილი დაიკავა — 364 ქულა. კიდევ გავიმეორებთ: ამ ახალგაზრდა მსროლელთა შედეგებს ხაზს ვუსვამთ იმის გამო, რომ ისინი მოზრდილთა ტურნირში გამოდიოდნენ და ამდენად, პერსპექტიულ სპორტსმენებად მიგვაჩნია.

ინაპონიაში... ქართულს ჭიდაობენ

სანსეი — დიდი მასწავლებელი ბიძინა მაზიაშვილი

შინაური მღვდელს შენდობა არა აქვსო. საკუთარი ხასიათის შეშხედვარეს თუ დასცდა ქართველ კაცს ეს სიტყვები. ალბათ მიგვიხვდა მკითხველი, რამ გაგვახსენა ეს ანდაზა. უკანასკნელ წლებში ჩვენგანვე უმიზეზოდ მივიწყებული ქართული ჭიდაობით იაპონელები დაინტერესდნენ, უდიდესი სპორტული ტრადიციების ქვეყანა, რომელიც მსოფლიოს აოცებს თავისი მიღწევებით, საქართველოში ეძებს ძიუდოს განახლების გზებს.

იმისათვის, რომ უფრო ახლოს გასცნობოდნენ ქართულ ჭიდაობას, იაპონელმა სპეციალისტებმა თავისთან მიიწვიეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი. იგი ორი თვის განმავლობაში ატარებდა ქართული ჭიდაობის სემინარებს იაპონიის სხვადასხვა კლუბში.

ჩვენი შეხვედრა-საუბარის მიზეზიც სწორედ ეს იყო.

● **ბატონო ბიძინა, რას არ მოუხერხებია კაცს! რამ გააბსენათ იაპონელებს ჩვენგან თითქმის მივიწყებული ქართული ჭიდაობა?**

— არც ისე ცუდად არის საქმე, როგორც თქვენ ამბობთ, მაგრამ მე ჯერ იმაზე გიპასუხებთ, თუ რამ გამოიწვია უცხო ქვეყნის ეს ინტერესი. იაპონურ ძიუდოს გაუჭირდა. ეს მარტო ჩემი „აღმოჩენა“ არ გახლავთ. ამის დღეს მთელი მსოფლიო ხედავს. ამის დასტურად თუნდაც ერთი ფაქტიც იკმარებდა: სეულის ოლიმპიადაზე იაპონელმა ძიუდოისტებმა მხოლოდ ერთი ოქროს მედალი მოიპოვეს და ისიც, თუ შეიძლება ითქვას, სამადლოდ, მსაჯების ჯოჯმანის შემდეგ.

ქართული ძიუდოს დონე, დღიდან საერთაშორისო არენაზე გასვლისა, სტაბილურია; ხუთ ოლიმპიადაში ვმონაწილეობდით და ყოველთვის საბჭოთა კავშირის გუნდი სანახევროდ ქართველი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. ამგვარი წარმატების საფუძველი არის ქართული ჭიდაობა, ის, რომ ჩვენებურ ძიუდოს ჩვენივე ეროვნული სახეობა ჰკვებავდა მუდამ.

მე ეს ყველაფერი ვთქვი იმ დასკვნით შეხვედრაზე, რომელიც სემინარების დამთავრების შემდეგ მოაწყო ლეგენდარულმა ისაო ინაკუმამ. იგი არის ახალგახსნილი საერთაშორისო უნივერსიტეტის „ბუდოს“ პრორექტორი, პროფესორი. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ძიუდოს წამყვანი სპეციალისტები: სატო, იამო მოტო, კაზეკაზაკი, უემურა, ფუჯი სიკინე და სხვები. საუბარი შეეხო ძიუდოს მდგომარეობას იაპონიაში. თავიანთ გასაჭირს ისინი ჩვენზე უკეთესად ხედავენ და იმასაც. კარგად გრძნობენ, რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოთ ამ საქმეში ქართულმა ჭიდაობამ.

ჩემს გამოსვლაში გავიხსენე ანზორ კოკანაძის არნახული რეკორდი, როცა მან ევროპის ჩემპიონატზე ორ წამში დაამარცხა მოწინააღმდეგე. ვთქვი ისიც, რომ 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიადაზე გამოსვლისას, თავისუფალ ჭიდაობას საქართველოში სულ შვიდი წლის ისტორია ჰქონდა, მაგრამ მაინც ორი ქართველი ჩემპიონი გახდა — დ. ციმაკურიძე და ა.მეკოკიშვილი. ამგვარი „მოულოდნელობის“ მიზეზი სწორედ ქართულ ჭიდაობაში უნდა ვეძებოთ. მართალია, საქართველო პატარა და რიცხვმცირე ქვეყანაა, მაგრამ, თუ გადავიხედავთ შუბთ პროკენტულად, აღმოჩნდება, რომ ყველაზე მეტი ჩემპიონები ჰყავს. ასე რომ, არაფერია საოცარი იმაში, თუ ქართველებისაგან იაპონელებმა ჭიდაობის სწავლა გადაწყვიტეს.

როგორც ვთქვი, ამ შეხვედრას წამყვანი სპეციალისტები ესწრებოდ-

იხ. მე-4 გვ.

რასაცა გასცემ შენია...

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ორი გამარჯვება ზედიზედ

ზრუნვა. განახლდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. პირველი წრის მეორე ტურის მატჩებს ამ ქალაქში თბილისის დინამოელებთან ერთად ატარებენ ადგილობრივი თანაკლუბელები, ალმა-ათის არმიელები და ტაშკენტის „უზსტროიმეხანიზაცია“.

ჩვენმა კალათბურთელებმა პირველი ტურის მატჩები აღნიშნულ გუნდებთან წარუმატებლად. ჩაატარეს და სამივე შეხვედრა დამარცხეს. ამჯერად მდგომარეობა გამოსწორდა. ყოველ შემთხვევაში, თბილისის „დინამომ“ ორი შეხვედრა უკვე მოიგო — ფრუნზეს გუნდთან 63:62 და ტაშკენტის „უზსტროიმეხანიზაციასთან“ 73:71.

გუშინ „დინამოს“ ტურის მესამე მატჩი ჰქონდა ალმა-ათის ასკ-სთან. ოთხმა საბჭოთა მოკრივემ ფინალისკენ გაიკაფა გზა პერუს დედაქალაქ ლიმას სარბიელზე მიმდინარე იუნიორ მოკრივეთა მსოფლიო პირველობაზე. მათ შორისაა ევროპის წლევანდელი ჩემპიონი თანატოლთა შორის, თბილისელი 54 კგ წონის კახაბერ ბარავი. მას ნახევარფინალში ოქროს მედლისათვის ბრძოლის უფლებას ეცილებოდა სამხრეთკორეელი სპორტსმენი ლი სიუ კუ. მაგრამ კახაბერმა დასძლია მისი წინააღმდეგობა და ფინალში გავიდა, რის შედეგადაც სულ ცოტა, ვერცხლის მედალი უკვე განაღდებული აქვს. ფინალში თბილისელს მეტოქეა მექსიკელი მოკრივე. ასე რომ, დავიცადოთ დასკვნითი ორთაბრძოლის დამთავრებამდე.

დავიცადოთ ფინალამდე

გამოცდილების მისაღებად

ალჟირის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი თბილისში ერთობლივი ვარჯიშის ჩასატარებლად ჩამოვიდა. გუნდი უმთავრესად ახალგაზრდა სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული და ქართველ კალათბურთელებთან საქმიანი კონტაქტი მათ უსათუოდ სარგებლობას მოუტანს. ასე ფიქრობენ ჩვენი შორეული სტუმრები.

ორიოდე დღის წინ ალჟირის ნაკრებმა პირველი ამხანაგური შეხვედრა გამართა საქართველოს ჩემპიონთან, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან. ბრძოლა მასპინძლებმა მოიგეს — 112:100 (55:48). სტუმრების გუნდში კარგი სნაიპერული თვისებები გამოამჟღავნეს სელან მეხნაამ (21 ქულა) და მოჰამედ იახიამ (23 ქულა). მასპინძელთა შორის ზუსტი სროლებით გამოირჩეოდნენ მიხეილ კობეშავიძე (24 ქულა) და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (33 ქულა).

გუშინ ალჟირის გუნდი თბილისის უნივერსიტეტის კალათბურთელებს შეხვდა. ერთობლივი წვრთნის პროცესში დაგეგმილია კიდევ ორი ამხანაგური შეხვედრა თბილისის „დინამოსთან“.

ინფორმაცია

სპორტული დიდების დარბაზში

ნიუ-იორკი. ქალთა სპორტულმა ფონდმა წარსულში ცნობილი რუმინელი ტანმოვარჯიშე ნადია კომანეჩი დაასახელა იმათ შორის, ვისი პორტრეტიც უსათუოდ უნდა ეკიდოს ქალთა საერთაშორისო სპორტის დიდების მუზეუმში. შეგახსენებთ, რომ კომანეჩი რვა ოლიმპიური მედლის მფლობელია.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგაში

18 ოქტომბერს გაიმართა 30-ე ტურის სხვა მატჩებიც: „ქუთაისი“ (ქუთაისი)—„კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1:2 (მატჩი გორში გაიმართა), „კოლხეთი“ (ხობი) — „დილა“ (გორი) 3:0.

გუშინ გაიმართა ამავე ტურის დარჩენილი სამი მატჩიც.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „იბერია“ (თბილისი) 0:1.

„სანავარდო“ (სამტრედია) „მზიური“ (გალი) 3:2.

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:0.

ვაჰ, დრონი, დრონი...

უსაზღვრო იყო სიყვარული...

მსახიობი ბევრის ცნობიერებაში სილამაზის, ჰარმონიულობის განსახიერებაა. მკითხველმა განსაჯოს, რამდენად მართალი ვიქნები, ჰარმონიული პიროვნება რომ ვუწოდო გოგი გელოვანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, ჭაღარით მოსილს, სამოცდაათს მიტანებულ ჭარმაგ მსახიობს, მაგრამ თავად იგი, საკუთარი თავის, როგორც პიროვნებისა და მსახიობის ჩამოყალიბებას, უპირველესად, სპორტს რომ უმადლის, ჩვენთვის ეს არის საინტერესო.

● ბატონო გოგი, ჩემს წარმოდგენაში ძველთბილისური ხპორტი ჯერ „ჭუჩურ ფეხბურთს“ უკავშირდება. შემდეგ დანარჩენს. როცა თქვენთან მოვდიოდი, ერთმა ჩემმა კოლეგამ, რომელიც კარგად გიცნობთ, სიტყვა დამადევნა — გოგი გელოვანი ფეხბურთს არ თამაშობდა და მახზე ნურც ნურაფერს ჰკითხავო.

— გულით რომ მდომებოდა, ჩემი თაობის კაცი, ფეხბურთს გვერდს ვერ ავუვლიდი, რადგან იმ დროს თბილისელებს ფეხბურთი კულტის დონეზე ჰყავდათ აყვანილი. ყველა ბურთს თამაშობდა — დიდი თუ პატარა, — სკოლაში, ინსტიტუტში, ეზოში, ქუჩაში... ბურთის მაგივრობას სხვადასხვა ნივთი ასრულებდა. მთავარი ის იყო, მკვრივი არ ყოფილიყო, ფეხი არ სტკენოდა მოთამაშეს და მრგვალი თუ არა, ოვალური ფორმა მაინც ჰქონოდა. მეც ვბურთაობდი ჩემი მეგობრებისა და უბნელების „გადამკიდე“, მაგრამ ფანატიკოსს რომ ეძახიან, ისეთი ფეხბურთელი არასდროს ვყოფილვარ. სხვა რამ მიტაცებდა...

ჩემს უბანში, ვერაზე, თითქმის ყოველ ეზოში იყო სავარჯიშო ღერძები, „ტურნიკს“ რომ ეძახიან; ზოგან — ორ ხეს შუა გაჩხერილი. ზოგან — აივნის კიდეებზე მიდუღებული... ბავშვობაში ავბობღდებოდი ზედ და ვვარჯიშობდი დილიდან საღამომდე. მე და ჩემს „კოლეგებს“ შეგვეძლო დღეში რამდენიმე ასეულჯერ ავზიდულიყავით. გართობა შემდეგ სერიოზულ ხასიათს იღებდა, ჯერ უბნელი ბიჭები გავმართავდით „შიგასაუბნო“ პირველობას, რომელშიც ეზოებში გამარჯვებული „სპორტსმენები“ მონაწილეობდნენ, შემდეგ უბნის უძლიერესი ტანმოვარჯიშენი (გუნდში ხუთ-ხუთი კაცი იყო) სხვა უბნელ ბიჭებს გამოვიწვევდით სპაპეკროდ. როცა ერთ-ერთ [illegible] „ტურნირში“ პირად პირველობაში „სპორნი სამეულში“ მოვხვდი (ვინ მოგვცემდა მაშინ პრიზებს!), ხოლო ვერის გუნდი ჩემპიონი გახდა, გადავწყვიტე სერიოზულად მომეკიდა ხელი ვარჯიშისათვის და მეორე დღესვე შალვა მაჭავარიანს მივაკითხე — ჩემი 25-ე სკოლის ტანვარჯიშის სექციის ხელმძღვანელს და ფიზკულტურის მასწავლებელს...

სხვადასხვა თაობის ბიჭებთან ერთად მიწევდა ვარჯიში. გიორგი ციციშვილი, გივი სვანიძე, ამირან ქარცივაძე, ლევან ჭაჭიაშვილი, კიმო არეშიძე, აბიკო ვადაჭკორია — ეს ხალხი შეყვარებული იყო ტანვარჯიშზე და ჩვენი სკოლა მათი წყალობით ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ მხრივ თბილისში. უბანში კი დოდო აბაშიძე, შოთა მაჭავარიანი, ზურაბ ლეკვა, ჟურიკო ჯაფარიძე მიწეოდნენ პარტნიორობას. მაშინ სად იყო ასეთი დახვეწილი საწვრთნელი სისტემა, ამდენი სპეციალური მეთოდური ლიტერატურა. იმ დროს ჩვენ ერთი—„მიულერის სისტემას“ ვიცნობდით და ეს იყო ყველაფერი. ერთ-ერთი შეჯიბრების დროს გულო რცხილაძისა და ქუჩუკი სანებლიძის ვარჯიშსაც დაეესწარი. სხვათა შორის, გაგრაში, შეკრებაზე, გიორგი ეგნატაშვილსაც შეეხვდი. მაგრამ ორძელზე აღმართული ვერ ვიხილე ეს ბუმბერაზი ტანმოვარჯიშე, ამაზე ახლაც გული მწყდება.

● ალბათ თქვენი ხპორტული გატაცება ტანვარჯიშით არ ამოიწურება.

— რასაკვირველია. თეატრისა და კინოს შემდეგ სპორტი ჩემს უპირველეს სიყვარულად დარჩა. ტანვარჯიშიდან ჭიდაობაზე გადავინაცვლე, ქართულ ჭიდაობას ყველა ეტანებოდა თბილისში. ჯერ ათიოდე ბიჭი წავეძიძგილავებოდით ერთმანეთს ნახერხმოყრილ საჭიდაოზე, ათს ათი დაამტეებოდა, მოსეირეებიც შემოგვიერთდებოდნენ, უფროსები საიდანღაც „მუზიკანტების დასტასაც“ გაეჩენდნენ... ქართულ ჭიდაობას რომ მოვეზიზრებოდით, შემდეგ „ფრანგულზე“ გადავდოდით, აი, კლასიკურს რომ ეძახიან ჩვენში, დაჩოქილი მოჭიდავის ხელის ხლება რომ არ შეიძლება. არც მას აკლდა მიმდევარი და მაყურებელი. ქალაქური კრივი კი მართლაც განუმეორებელი რამ იყო, ვინ მოგვცემდა ტყავის ხელთათმანებს, შიშველი მუშტებით დავერეოდით ერთმანეთს, მაგრამ ახლაც მჯერა, არც ერთი მოკრივე მოწინააღმდეგეს არ იმეტებდა ბოლომდე. ხომ ასეთ „ველურ პირობებში“ იმართებოდა ასპარეზობა, სისხლიანი სახე მაინც იშვიათად მინახავს. ეს, რა თქმა უნდა, რაინდული სულის წყალობა იყო, თითქმის ყველა ძველთბილისელ ვაჟკაცს უხვად რომ ჰქონდა მომადლებული და რაც სპორტის დამსახურებაცაა. ეს საინტერესო და ზოგჯერ დაუნდობელი ფენომენი — სპორტი, მწამს ადამიანის სულის გაფაქიზების საუკეთესო საშუალებაა.

არც მტკვარში ბანაობა იყო უცხო ხილი ჩვენთვის. დილით გავიკრიფებოდით უბნელი ბიჭები და საღამომდე ვეყუმპალაობდით. შემდეგ რომელიმე ჩვენგანის ფეხსაცმელებს გავახვევდით ქურთუკში ან ხალათში, ფეხსაცმლისავე თასმით მოვუკრავდით პირს და ასე სახელდახელოდ გაკეთებული „ბურთით“ ორ გოლს ვთამაშობდით იქვე, სანაპიროზე. შიშველი ფეხებით აქეთ-იქით ვაგორებდით, ვინ იცის, ვის ფეხსაცმელებსა და შარვალ-ხალათს — ბურთადაქცეულს, ვინ მოთვლის, რამდენჯერ ამიცილებია და ბურთის ნაცვლად ქვისთვის ამომიკრავს ფეხი. ღამით დასისხლიანებული და ჩალურჯებული ფეხებით, კოჭლობით მივდიოდით სახლში, მაგრამ მეორე დღესაც იმავეს ვიმეორებდით, უსაზღვრო იყო ჩვენი სიყვარული და ერთგულება სპორტის მიმართ.

● თქვენი სამსახიობო კარიერის ბანძილზე თუ გამოგდგომიათ ახალგაზრდული გატაცება სპორტით?

— გამომდგომია, და არა ერთხელ. 1952 წელს კინოფილმში „მწვერვალის დამპყრობნი“, რომელიც ცნობილი მთამსვლელის — ალიოშა ჯაფარიძის ხსოვნას ეძღვნება, ვასახიერებდი მთამსვლელ გიო ნიკურაძეს (ფილმში ჩემს გმირს გიო კობოლანი ერქვა). მთამსვლელებზე ფილმს, ბუნებრივია, ბარში, ვერ გადაიღებ და გადამღები ჯგუფი ჯერ იალბუზს ვეწვიეთ, შემდეგ შხელდას, ბოლოს თეთნულდაც. წარმოიდგინეთ. მთა მხოლოდ შორიდან მენახა, ზედ ფეხიც არ დამედგა, მაგრამ მალე ისე დავსტატდი, სასინჯი კადრების გადაღებას რომ მოვრჩებოდი, მაინც არ ჩამოვდიოდი ციცაბოებიდან. მაპატიონ ზოგიერთებმა. მაგრამ ბევრის საზრუნავი მხოლოდ ის იყო, თეთნულდის ძირში დაბანაკებულთ როგორმე აეტანათ არაჩვეულებრივი სუსხი და ყინვა.

მეტსაც გეტყვით: 1969 წელს, „დიდოსტატის მარჯვენაში“ ვითამაშე. ერთ-ერთ მასობრივი სცენის გადაღების დროს წოლკნის ტყეში ცხენებმა გადამქელეს. ათი თვე საავადმყოფოში გავატარე, კიდური და ორგანო არ მქონდა დაუზიანებელი. ჩემი გადარჩენის იმედიც არ ჰქონდათ, მაგრამ სპორტთან წოლნაყარმა ორგანიზმმა იმარჯვა და დღესაც ჯანმრთელად ვარ.

აგერ ახლახან ერთი ფილმის გადაღებისას ისე დავაჯირითებდი ცხენს მთიან ფერდობებზე, კვლავ ახალგაზრდა მეგონა თავი.

● ახალგაზრდობა ვერაზე გაატარეთ, მთელი ცხოვრება თეატრსა და კინოს შეალიეთ. შეუძლებელია ვერელს და მსახიობს კურიოზების გარეშე ეცხოვროს ექვს ათეულზე მეტი წელიწადი...

— კურიოზების მეტი რა გადამხდენია, მაგრამ თუ შეიძლება, ჩემს მეგობრებზე მოგიყვებით ერთ ამბავს: ვერელი ბიჭები — ყველასათვის ცნობილი რეზო ფალავა და ნოდარ უნაფქოშვილი — უბრად იყვნენ თავიანთ ძმაკაცებთან. თურმე ისინი საქეიფოდ გაეპარნენ და არ შეატყობინეს. რეზომ და ნოდარმა მიაგნეს მეგობრებს. ერთ-ერთი ძმაკაცის სახლში ლხინობდნენ. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, სამაგიეროო ასე გადაუხადეს: მასპინძლის ეზოსთან „უპატრონო“ ავტომანქანა იდგა, „ემადინი“, დაეჯაჯგურა ეს ორი ვაჟკაცი ამხელა მანქანას, გაათრია, შიგ შესასვლელთან დააყენა და ჩახეგა ეზო. ბიჭები მორჩნენ ქეიფს და გამოეიდნენ სახლიდან. მაგრამ ქუჩაში ვეღარ გამოაღწიეს, ბოლოს მთელი ეზო „დაიძგერა“ „ემადინს“ და, როგორც იქნა, გაათავისუფლა გზა.

ერთ ამბავსაც მოვიგონებ. ზუსტად არ მახსოვს თარიღი. სამოცდაანი წლების ბოლოს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ძალიან საინტერესო საფეხბურთო მატჩი გაიმართა, თითქმის მთელი ტრიბუნები სავსე იყო მაყურებლით. ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ... რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების გუნდები. მე, რა თქმა უნდა, მარჯანიშვილელთა ღირსებას ვიცავდი ედიშერ მაღალაშვილთან, შოთა ქოჩორაძესთან, ავთო ვერულეიშვილთან, ნოდარ მახატელთან და სხვა მსახიობ-ფეხბურთელებთან ერთად. ჩვენი მწვრთნელი ანდრო ზაზროევი იყო. მოწინააღმდეგის შემადგენლობაში იყვნენ ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი, კარლო საკანდელიძე, კოტე მახარაძე... ამ მატჩში გულშემატკივრებს თავი იმით დავამახსოვრე, რომ შევაგდე ბურთი საკუთარ კარში, რომელშიც რეზო ბერიძე იდგა. უკანა ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი. სულგანათლებული ბორია პაიჭაძე მამხნევებდა, ნუ ნერვიულობ, შენი ბრალი არ იყო, რეზო ბერიძე შეცდაო. საერთოდ, მას შემდეგ, რაც ჩვენს თეატრში დაიდგა სპექტაკლი „ფეხბურთელები“ და ბორია პაიჭაძე ამ სპექტაკლზე ჩვენი მთავარი კონსულტანტი იყო, იგი საოცრად დაგვიახლოვდა, ჩვენს სპექტაკლებს არ აცდენდა, სულ ჩვენთან ტრიალებდა.

● თქვენი თაობის ადამიანებს ალბათ ურთიერთობაც სხვაგვარი გქონდათ. უფრო თბილი, უფრო რაინდული...

— მე არ დავდგები ჩემი თაობის აპოლოგეტად, მაგრამ რაც გვქონდა, ნაღდად გვქონდა. ჩხუბი რომ ჩხუბია, ისიც სხვანაირი ვიცოდით. ვიჩხუბებდით, ვიღაცას. ვიღაცისთვის უნდა ეჯობნა. მერე რა?! ამით მთავრდებოდა ყველაფერი. ორი წუთის წინ „მტრადწყიდებულნი“ თანამეინახეებად იქცეოდნენ. გულში წყენას ვინ დაიტოვებდა! გულს მტკენს და მაშინებს, ახლანდელი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი შეიარაღებული რომ დაიარება, არც ერთმანეთის გატანა იციან ძველებურად. შეიძლება ერთი ღერი სიგარეტისთვის კაცი მოკლა? ჩვენს დროს კაცი თუ გაწყენინებდა, სიტყვით მოაგვარებდი მასთან ურთიერთობას, ყველაფერს მოუთმენდი და, თუ დედას არ შეგაგინებდა, ხელს არ შემოჰკრავდი.

არა, მე მიყვარს დღევანდელი ახალგაზრდობა და ეს სიყვარული მალაპარაკებს. ეჭვი არ მეპარება, თქვენს თაობასაც აქვს თავისი ეშხი, სილამაზე, განუმეორებლობა. ალბათ, თქვენც გულთბილად მოიგონებთ თქვენს წარსულს, მაგრამ, რაც ვქნა, მე მაინც ჩემს ძველ თბილისს შევნატრი და შევხარი.

ლევან ჯავახიშვილი

ს ურ ა თ ზ ე: კადრი ფილმიდან „მაცი ხვიტია“ — გოგი გელოვანი ჯოლორია დგებუაძის როლში.

გზა დაულოცავთ

ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სპორტული სკოლა (დირექტორი ნოე ლობჟანიძე) არსებობის მხოლოდ ოთხ წელს ითვლის და, თამამად შეიძლება ითქვას, გაამართლა თავისი დანიშნულება — მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა ამ სკოლის ახალგაზრდა, მაგრამ კვალიფიციური სპეციალისტების ერთადერთი მიზანი და მოვალეობაა.

ალბათ დაუვიწყარი იქნება სკოლის კედლებში გატარებული ოთხი წელიწადი თითოეული მოზარდისათვის. ბავშვობიდან ეზიარო ფიზკულტურასა და სპორტს— ეს ხომ ყოველი თაობის ბავშვების სანუკვარი ოცნებაა, მით უმეტეს, აქ ნორჩებს მკაცრად რეგლამენტირებული სასწავლო გაკვეთილები კი არ უტარდებოდათ, არამედ თავისუფალი, თითოეული მათგანის ხასიათისა და მიდრეკილების შესაბამისი სპორტული მეცადინეობები, რომლებიც დაფუძნებული იყო ბავშვების ფიზიკური აღზრდის სამამულო და საზღვარგარეთის მრავალწლიან გამოცდილებაზე. განვლო ოთხმა წელმა, რომელმაც ჯანმრთელობასთან, ფიზიკურ წრთობასთან ერთად უამრავი მეგობარი, არაერთი ლამაზი წუთი შეჩატა ბავშვებს, მაგრამ სულ სხვა იყო 17 ოქტომბრის საღამო, როცა სკოლის პედკოლექტივმა 250 მოზარდს გამოსაშვები საზეიმო საღამო მოუწყო. ხვალ-ზეგ 250 ჯანსაღი მოზარდი მიაშურებს სხვადასხვა სპორტის სახეობებს, ვინ ფეხბურთი აირჩია, ვინ წყალბურთი, ცურვა, მძლეოსნობა, ან ჭიდაობა...

საზეიმო საღამოს მიწურულს ნორჩებს სპორტული სარბიელისკენ მიმავალი გზა დაულოცა ნოე ლობჟანიძემ, დმანისის ღვთისმშობლის სიონის ეკლესიის მოძღვარმა მამა ირაკლიმ,

ჩვენც დავულოცავთ ნორჩებს პირველ სპორტულ ნაბიჯებს და ვიმედოვნებთ, რომ 250 პატარა სპორტსმენში ერთი მომავალი ოლიმპიელი მაინც ურევია.

ვნახოთ. ღმერთმა ქნას.

ჯ. ლევანიშვილი.

საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

ცხრილები, ანონსი

უძლიერესთა ჯგუფის მატჩი „ელმავალი“ — „აია“, რომელიც 16 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, გადაიდო ორივე გუნდის ძირითადი მოთამაშეების საქართველოს სტუდენტური ნაკრების შემადგენლობაში საფრანგეთში გამგზავრების გამო. შეხვედრის გამართვის თარიღს მოგვიანებით გაცნობებთ.

თხუთმეტი ტურის შემდეგ საატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

უძლიერესთა ჯგუფი

(I-IV ადგილები)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„ელმავალი“	9	9	0	0	18
„მიმინო“	12	8	1	3	17
„ასოციაცია“	12	8	1	3	17
„აია“ (ქუთ.)	9	8	0	1	16

სანუგეშო ჯგუფი

(V-XII ადგილები)

„იმერეთი“ (ბათ.)	15	8	1	6	17
„გელათი“ (ქუთ.)	13	8	0	5	16
სტუ	14	7	0	7	14
„აკადემია“	14	6	1	7	13
„შევარდენი“	14	6	0	8	12
„ზოოვეტი“	15	3	0	12	6
„ხათაფლია“ (წყალ.)	14	3	0	11	6
„უნივერსიტეტი“	15	2	0	13	4

დღეს „უნივერსიტეტი“ 13 საათზე ვაკის სტადიონზე მიიღებს სტუ-ს. ხვალ, 21 ოქტომბერს „აკადემია“ უმასპინძლებს „ზოოვეტს“ — მატჩი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე გაიმართება და დაიწყება 13 საათზე. ამავე დღეს წყალტუბოში „ხათაფლია“ ეთამაშება „შევარდენს“, ხოლო სამშაბათს, 23 ოქტომბერს, ჭიათურაში „იმერეთი“ შეხვდება ქუთაისის „გელათს“, მატჩი 15 საათზე დაიწყება.

M 57-ე საკავშირო

ლენინგრადის ძერეინსკის სახელობის კულტურის სასახლეში დაიწყო მოჭიდრაკე ვაჟთა საბჭოთა კავშირის 57-ე ჩემპიონატი.

კენესყრის შედეგად მონაწილენი სატურნირო ცხრილში შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდნენ: 1. საერთაშორისო დიდოსტატი ევგენი ბარეევი (მოსკოვი); 2. საერთაშორისო ოსტატი ვლადიმირ ეპიშინი; 3. საერთაშორისო დიდოსტატი ლეონიდ იუდასინი (ორივე — ლენინგრადი); 4. საერთაშორისო ოსტატი ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი); 5. საერთაშორისო ოსტატი ალექსანდრე მნეიდერი (ლუგანსკი); 6. საერთაშორისო დიდოსტატი ალექსანდრე ხალიფმანი (ლენინგრადი); 7. საერთაშორისო ოსტატი სემიონ დვოირისი (ჩელიაბინსკი); 8. საერთაშორისო დიდოსტატი გენადი კუზმინი (ლუგანსკი); 9. საერთაშორისო ოსტატი იგორ ნოვიკოვი (ბარკაული); 10. საერთაშორისო ოსტატი კონსტანტინ ასეევი (ლენინგრადი); 11. საერთაშორისო დიდოსტატი ალექსი ვიემანავინი (მოსკოვის ოლქი); 12. საერთაშორისო ოსტატი ილია სმირინი (მინსკი); 13. საერთაშორისო დიდოსტატი ვიაჩესლავ ეინგორნი (ოდესა); 14. საერთაშორისო დიდოსტატი ალექსანდრე ბელიავსკი (ლვოვი).

ტურნირის საერთო რეიტინგი 2578, რაც ფიდე-ს მე-14 კატეგორიას შეესაბამება.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ცხუმი“ (სოხუმი) — „ბორდა“ (რუსთავი) 2:0 (1:0).

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 18 ოქტომბერი.

„ცხუმი“: ეორეულიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი (გადელია), გაბესკირია, კურგენიანი.

„ბორდა“: ქორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქახრაშვილი, კილასონია, ტ. კაპანაძე, მეტრეველი, ბურკაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), თ. კურტანიძე, შ. ბერიძე (ორივე — თბილისი).

თამაშის დაწყების წინ სტადიონზე მოსულმა გულშემატკივრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის ხსოვნას.

შეხვედრა სოხუმელთა იერიშებით დაიწყო და უკვე მე-8 წუთზე გოგრიჭიანმა ეფექტური გოლი გაიტანა. არც ამის შემდეგ შენელებულა მასპინძელთა შეტევები. კარის აღების კარგი შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს ინალიშვილმა, ჯიშკარიანმა, მალანიამ.

მეორე ნახევრის დასაწყისში „გორდა“ უფრო აქტიურობდა და მეკარე ეორეულიანს რამდენჯერმე მთელი თავისი ოსტატობის ჩვენება მოუხდა. შეხვედრის დარჩენილი დრო გუნდებმა მაღალ ტემპში ჩაატარეს. მატჩს კი წერტილი გაბესკირიამ დაუსვა, რომელმაც დაახლოებით ოცდათხუთმეტი მეტრი მანძილიდან ულამაზესი გოლი გაიტანა „გორდას“ კარში. 2:0 — ასე გაიმარჯვა „ცხუმმა“ და სამ ქულასთან ერთად რევანშიც აიღო რუსთავში დამარცხებისათვის.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „გათუმი“ (ბათუმი) 1:0 (0:0).

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 18 ოქტომბერი.

„სამგურალი“: მიქაძე, ჯანელიძე, წიქარიშვილი, ხურცილავა, ვ. ფეხტვენიძე (მუშკუდიანი), ხვიტია, ცნობილაძე, კერესელიძე, გოგელიძე, ხუნდაძე, ხარაბაძე (ბერაძე).

„გათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, კულუმბეგოვი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ზედანია, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, შანიძე, ტულუში, მაიხურაძე.

მსაჯები: ე. ხილაგავა (თბილისი), ა. ეიეიაშვილი (მცხეთა), ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი).

გაფრთხილება: ვ. ფეხტვენიძე, ცნობილაძე.

ახლა, როდესაც ეროვნული ჩემპიონატი სადაცაა დასრულდება, თანდათან მძაფრდება ბრძოლა თითოეული ქულისათვის. გამონაკლისი არც ეს შეხვედრა იყო. ორივე გუნდს თავისი პრობლემები აქვს გადასაჭრელი. თუ ბათუმელთა გუნდი ცდილობს ადგილის დამკვიდრებას ლიდერთა შორის, წყალტუბოელთა კოლექტივს უფრო მოკრძალებული მიზანი აქვს — როგორმე შეინარჩუნოს ადგილი უძლიერესთა შორის.

90 წუთის განმავლობაში „სამგურალის“ უპირატესობა აშკარა იყო. თამაში მიმდინარეობდა მხოლოდ სტუმართა ნახევარზე. ბათუმელები იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ მასპინძელთა საჯარიმოს სიახლოვეს.

ერთ-ერთ ეპიზოდში კარგად ითამაშა მიქაძემ, როცა მან კიკლიაშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია. მასპინძელთა მრავალ შეტევათა შორის ყველაზე სახიფათო იყო კერესელიძის თავური დარტყმა, რომელიც ოდნავ ასცდა მიზანს. მონდომებამ შედეგი 65-ე წუთზე გამოიღო, როცა მარჯვენა ფრთაზე გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ხუნდაძემ ზუსტი პასი მიაწოდა კერესელიძეს და ამ უკანასკნელის დარტყმამ გუნდს 3 ქულა მოუტანა.

ანგარიშის გაზრდა 79-ე წუთზე შეეძლო გოგელიძეს, მაგრამ მისი ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი მოიგერია ბალაძემ.

საბოლოოდ, 1:0 გაიმარჯვა „სამგურალმა“ და ჩემპიონატში მეათე გამარჯვება მოიპოვა.

ომარ ჟუმბურიძე,
„ლელოს“ კორ.

„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ივერია“ (ხაშური) 0:0.

ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი. 18 ოქტომბერი.

„მერცხალი“: დუმბაძე, ხამაშურიძე, ათუაშვილი, ა. ცერცვაძე, კალატოზიშვილი, ბერიშვილი, კაშია, ჩხაიძე, თეთრაძე, კალანდაძე, ჩიგოგიძე.

„ივერია“: ბრაუნისი, ჭანგურიძე, ცხოვრებაშვილი, მაღრაძე, ხარებაშვილი, ხარაზიშვილი, ქიმერიძე, აბაზაძე, ნოზაძე, თევზაძე, რობაქიძე.

მსაჯები: ა. მილჩენკო (სოხუმი), ო. კბილაშვილი, პ. დოგრაშვილი (ორივე — ჭუთაისი).

მეორე წრეში არცთუ სახარბიელოდ თამაშობს ოზურგეთის „მერცხალი“. მან ყველაფერი იღონა, რომ ხაშურელებთან მატჩში გაეხარებინა გულშემატკივრები. თამაში კორექტული იყო. მასპინძლებს დასაწყისშივე მეეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ამ მომენტში და შემდეგაც კარგად ითამაშა ბრაუნისმა. 32-ე წუთზე კი ხაშურელებს შეეძლოთ აეღოთ მეტოქის კარი, ამჯერად კი მასპინძელთა მეკარემ იყოჩაღა.

საინტერესოდ წარიმართა მეორე ტაიმი. 70-ე წუთზე ჩხაიძის ძლიერი დარტყმა კვლავ მოიგერია ივერიელთა მეკარემ. შემდეგ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს კაშიამ, კალანდაძემ, ბერიშვილმა. განსაკუთრებით დაძაბულად წარიმართა მატჩის ბოლო 5 წუთი — ხაშურელი თევზაძე პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ ააცილა კარს. კაშიას, ცერცვაძეს და თეთრაძეს სამჯერ მიეცათ კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში ამ მატჩში მაინც არ გაიხსნა.

ნუგზარ ასათიანი,
„ლელოს“ კორ.

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 31-ე და 32-ე ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის.

„ხულორი“ (ვანი) — „ხაპოვნელა“ (თერჯოლა) 4:2. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლები: ორმოცაძე, ვერულაშვილი, პაიკიძე-2 („სულორი“). ჭულუხაძე, ფანჩულიძე („საპოვნელა“).

მსაჯთან კამათისათვის ჯერ გააფრთხილეს, ხოლო შემდეგ მოედნიდან გააძევეს მ. უკლება („საპოვნელა“).

„მაღაროელი“ (ქიათურა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ტეფნაძე, სევასტოპულო („მაღაროელი“), გორგილაძე, ბერიძე („შუქურა“).

დროის გაყვანისათვის გააფრთხილეს ა. გორგილაძე („შუქურა“).

„კახეთი“ (თელავი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:2. მსაჯი ჯ. მგელაძე (თბილისი). გოლები: ჯაშიაშვილი, აფაქიძე, სანიკიძე („კახეთი“), ხოხობაშვილი, მთივლიშვილი („ბახტრიონი“).

„ხიხარული-90“ (გაგრა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:2. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი). გოლები: დგებუაძე („სიხარული-90“), თედეევი, მელაძე („ქართლი“).

ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 0:1. მსაჯი ა. ყიფიაშვილი (მცხეთა). გოლი: კიურკიჟევი (ტექ. უნივ.), ამაშუკელმა (ფიზ. ინსტ.) ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი.

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:0. მსაჯი ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: ტოგონიძე, რომელაშვილი, წოთელაშვილი („მარგვეთი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს შ. ტაბატაძე („ქართლი“), თანაგუნდელის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მოედნიდან გააძევეს ზ. მოსიაშვილი („არაგვი“).

„ჩიხურა“ (ხაჩხერე) — „ხიონი“ (ბოლნისი) 6:4. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლები: ასათიანი, ბერძენიძე-2, მწყერაშვილი-3 („ჩიხურა“), ჯაგოვი-4 („სიონი“).

„ხამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი). გოლი: ახალაია („სამეგრელო“).

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „სულორი“ (ვანი) 1:2. მსაჯი ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: ორმოცაძე, ვერულაშვილი („სულორი“), შუბითიძე („ალაზანი“).

„შუქურა“ (ქობულეთი) — „კახეთი“ (თელავი) 2:0. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: ბერიძე-2 („შუქურა“).

„ხაპოვნელი“ (თერჯოლა) — „ბარული-90“ (გაგრა) 1:0. მსაჯი ნ. მაღლაფერიძე (ქუთაისი). გოლი: ბოლაგაძე („საპოვნელა“).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1. მსაჯი რ. ჩიქოვანი (გაგრა). გოლები: მაღრაძე, კიურკიჟევი (ტექ. უნივ.), ახალაია („სამეგრელო“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ჩიხურა“ (ხაჩხერე) 1:1. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი), ' გოლები: ბერძენიძე („ჩიხურა“), გაგნაშვილი („ბახტრიონი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ე. გაგნაშვილი („ბახტრიონი“).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „სჭური“ (წალენჯიხა) 4:2. მსაჯი ო. გაგუა (ხობი). გოლები: რეშეტოვი, ლობჟანიძე, კლიმაუსკასი, გრიგალიუნასი („დურუჯი“), ნიკოლაიშვილი, მორგოშია („სჭური“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:2. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: ყულუმბეგაშვილი, სემიონოვი („ქართლი“), წიკლაური, ბედუკაძე („არაგვი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს შ. ტაბატაძე („ქართლი“), თანაგუნდელის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მოედნიდან გააძევეს ზ. მოსიაშვილი („არაგვი“).

„არმაზი“ (მცხეთა) — „ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 0:1. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლი: მეტრეველი (ფიზკ. ინსტ.).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს კ. კვეტენაძე, დროის გაყვანისათვის — კ. ზამბახიძე (ორივე — ფიზკ. ინსტ.), უხეში თამაშისათვის — ზ. ძაგანიშვილი („არმაზი“).

„იმერეთი“ (ხონი) — „მაღაროელი“ (ქიათურა) 3:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ფანცულაია, ნოზაძე, ცინარიძე („იმერეთი“).

„ხიონი“ (ბოლნისი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2:4. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: ჯაგოვი-2 („სიონი“), აკოფიანი, ფოცხვერაშვილი, კიკნაძე-2 („მარგვეთი“).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	32	23	3	6	77-35	72
„სულორი“ (ვანი)	32	22	4	6	69-44	70
„ალაზანი“ (გურჯაანი)	31	20	4	7	58-31	64
„კახეთი“ (თელავი)	31	17	6	8	54-33	57
„არაგვი“ (დუშეთი)	31	13	11	7	49-43	50
„ხიხარული-90“ (გაგრა)	32	14	4	14	53-43	46
„იმერეთი“ (ხონი)	31	12	7	12	35-42	43
„შუქურა“ (ქობულეთი)	32	10	13	9	48-45	43
„ხაპოვნელა“ (თერჯოლა)	32	12	6	14	42-45	42
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	31	12	5	14	45-42	41
„მაღაროელი“ (ქიათურა)	32	12	5	15	48-59	41
„ხიონი“ (ბოლნისი)	32	11	8	13	60-60	41
„სჭური“ (წალენჯიხა)	31	11	6	14	59-57	39
„ჩიხურა“ (ხაჩხერე)	32	11	6	15	39-51	39
„არმაზი“ (მცხეთა)	32	10	8	14	46-59	38
„ხამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	32	7	14	11	39-41	35
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	32	8	9	15	37-61	33
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	32	8	8	16	34-52	32
ტუ	32	10	1	21	38-70	31
„დურუჯი“ (ყვარელი)	32	8	4	20	37-54	28

I ლიგა

17 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები.

სოხუმის დინამოელები ქ. აბოვიანში შეხვდნენ „კოტაიკს“. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა „კოტაიკმა“ — 2:1.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ტირასი“ (ტირასპოლი) 0:0, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:1; „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)— „გეოლოგი“ (ტიუმენი) 2:0; „ლოკომოტივი“ (ნიჟნი ნოვგოროდი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:0; „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:2; „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — 1:2; „დინამო“ (სტავროპოლი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 2:1; „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:1.

მას შემდეგ, რაც ვლადიკავკაზის „სპარტაკმა“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:1 დაამარცხა კრასნოდარის „ყუბანი“, მან ვადამდე, საკავშირო გათამაშების დამთავრებამდე 3 ტურით ადრე, უფლება მოიპოვა მომავალ წელს უმაღლესი ლიგის საკავშირო გათამაშებაში მიიღოს მონაწილეობა. ვლადიკავკაზის სპარტაკელებს ამჟამად 51 ქულა აქვთ. უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საგზური მათ უკვე გაინაღდეს, მაგრამ გუნდი ბრძოლას განაგრძობს ოქროს მცირე მედლებისთვის. ვლადიკავკაზელებს სამივე მატჩი შინა აქვთ ჩასატარებელი როსტოვის „როსტსელმაშთან“, სტავროპოლის „დინამოსთან“ და აბოვიანის „კოტაიკთან“.

ოქროს მედლები მოიპოვეს

17 ოქტომბერს სიმფეროპოლში გაიმართა ახალგაზრდა ფეხბურთელთა (ასაკი — 21 წლამდე) ევროპის ჩემპიონატის მეორე ფინალური მატჩი იუგოსლავიისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის.

პირველი შეხვედრა საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ანგარიშით 4:2. მან წარმატებით ითამაშა მეორეადაც, ანგარიშით 3:1 დაამარცხა მეტოქე (ბურთები გაიტანეს დონბროვოლსკიმ, მოსტოვოიმ, კანჩელსკისმა) და მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება.

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

შესარჩევი ციკლი

ბანგლილ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები საკლასიფიკაციო ჯგუფებში.

II ჯგუფი. დიდ წარმატებას მიაღწიეს ბულგარელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც სტუმრად დაამარცხეს რუმინეთის ნაკრები — 3:0. ბურთები გაიტანეს სირაკოვმა, ტოდოროვმა და კოსტადინოვმა.

ამავე ჯგუფში შოტლანდიისა და შვეიცარიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა შოტლანდიელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:1. პირველი ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა რობერტსონმა, მეორე — მაკალისტერმა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო შვეიცარიელმა კნუპმა ერთი ბურთის გაქვითვა 11-მეტრიანთან.

III ჯგუფი. ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ უნგრელებმა მიიღეს იტალიის ნაკრები. თამაშს 35 ათასი მაყურებელი დაესწრო. ანგარიში უნგრელთა მცველმა დისტლმა გახსნა მე-16 წუთზე, კუთხურის მოწოდების შემდეგ. უნგრელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ეპყრათ და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელებს უმთავრესად დაცვაზე უხდებოდათ ზრუნვა. უნგრელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბოგნარი, რომელიც ბელგიის „სტანდარდში“ გამოდის, იტალიელთა მეკარე ძენგას ძნელი ბურთების მოგერიებამ მოუწია. 55-ე წუთზე უნგრელთა კარში პენალტი დაინიშნა, ბაჯომ ზუსტად დაარტყა — 1:1. ამით გახარებულმა ბაჯომ ბურთი ტრიბუნებისკენ ტყორცნა, რისთვისაც მსაჯისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა. ამ მატჩში 4 მოთამაშე გააფრთხილეს. რაც შეეხება 11-მეტრიანს, იგი დაინიშნა იმის გამო, რომ უნგრელთა მეკარემ პეტრიმ და მცველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად წააქციეს იტალიელთა თავდამსხმელი დი ნაპოლი.

მატჩის დამთავრების შემდეგ უნგრელთა მწვრთნელმა კ. მესეიმ ქმაყოფილება გამოთქვა თავისი გუნდის თამაშისა და მატჩის შედეგის გამო. რაც შეეხება იტალიელთა ხელმძღვანელს ა. ვიჩინის, მანაც, თავის მხრივ, ხაზი გაუსვა უნგრელთის გუნდის მომზადების მაღალ დონეს.

IV ჯგუფი. ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს დანიის ნაკრები და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 1:1. აქ დაწინაურდნენ სტუმრები (ბერტრამი, 11-მეტრიანი), საპასუხო გოლი 58-ე წუთზე გაიტანა კლარკმა.

V ჯგუფი. ბელგიის გუნდთან შეხვედრაში მოულოდნელ გამარჯვებას მიაღწია უელსის ნაკრებმა — 3:1, თუმცა დასაწყისში დაწინაურდნენ სტუმრები, (ვერსაველი). რაშმა თასფარდობა ალადგინა, შემდეგ კი სონდერსმა და ჰიუზმა კიდევ 2 ბურთი გაიტანეს.

VI ჯგუფი. პორტუგალიისა და ჰოლანდიის გუნდების მეტად საინტერესო მატჩში მასპინძლებმა, პორტუგალიელებმა, გამარჯვებას მიაღწიეს 53-ე წუთზე აგუაშის მიერ გატანილი ბურთის მეოხებით. ჰოლანდიელები, რომელთა რიგებში გამოდიოდნენ გულიტი, ვან ბასტენი და სხვანი, ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერას გახდნენ. ჰოლანდიელთა რიგებში არ თამაშობდა რონალდ კუმანი, რომელიც დაისაჯა. გუნდის მწვრთნელი რ. მიჭელსის კრიტიკის გამო.

VII ჯგუფი. ამ ჯგუფში გაიმართა ორი შეხვედრა და ორივე მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა: ინგლისელებმა მოუგეს პოლონელებს — 2:0. ბურთები გაიტანეს ლინეკერმა და ბარდლიმ, ხოლო ირლანდიელებმა დაამარცხეს თურქეთის ნაკრები— 5:0. 3 ბურთი გაიტანა ოლდრიჯმა, თითო — ო'ლირიმ და ჭეინმა.

იაპონიაში... ქართულს ჭიდაობენ

(დასასრული)

ნენ და ყველამ ერთხმად აღიარა ქართულ ჭიდაობას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ძიუდოსა და სამბოს საბოლოო შედეგების ამაღლებაში. თავის მხრივ, ინოკუმამაც ზაზი გაუსვა იმას, რომ აუცილებელია მჭიდრო კონტაქტები დამყარდეს ქართული ჭიდაობის ფედერაციასთანო.

● გამოდის რომ, ქართულ ჭიდაობას შეუძლია საერთაშორისო სარბიელზე გადადგას პირველი ნაბიჯები...

— რა თქმა უნდა, შეუძლია და უნდა გადადგას კიდეც, მაგრამ აქ საჭიროა ერთ გარემოებას მივაქციოთ უურადღება: ჩვენ უნდა მოვძებნოთ სწორი გზა, მეთოდი და საშუალება, რომელთა დახმარებითაც ქართული ჭიდაობა გახდება საერთაშორისო სახეობა. ეს ძალიან ძნელი და რთული საქმეა.

ჩემი ტოკიოში ჩასვლა დაემთხვა საბჭოთა კავშირის სამბისტთა ნაკრები გუნდის იქ ყოფნას. ისინი იაპონელ სპორტსმენებთან ერთობლივ ვარჯიშებს ატარებდნენ. გუნდში იმყოფებოდა ორი ქართველი — მწვრთნელი ნუგზარ ხუციშვილი და მოჭიდავე ჯემალ მჭედლიშვილი. მათი მასპინძელი იყო იაპონიის სამბოს პრეზიდენტი ხორიმაი, რომელსაც საკუთარი რეზიდენცია აქვს უნიკალური სპორტული კომპლექსი-თურთ. „სპორტსკაიკან“ — ასეთია მისი სახელწოდება. ამ დარბაზებში ვარჯიშობს იაპონიის სამბისტთა ნაკრები.

ხორიმაიმ რომ ჩემი ჩასვლის მიზეზი გაიგო, მთხოვა, მეჩვენებინა სამბისტებისთვის ქართული ჭიდაობის ფანდები. სიამოვნებით ავესრულე ეს თხოვნა. ერთ დროს სამბისტთა მწვრთნელადაც ვმუშაობდი და ვიცი მათი ილეთები. ამიტომ იაპონელებს ვუჩვენებდი არა უბრალოდ ქართული ჭიდაობის ფანდებს, არამედ იმას, რასაც სამბისტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა. ამან დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც მწვრთნელებში, ისე მოჭიდავეებშიც. ამავე პრინციპით ვავარჯიშებდი ძიუდოისტებსაც. მე მგონი ისინი უფრო მეტად დაინტერესდნენ. საკურორტო ქალაქ კაცურაში არის ტოკიის უნივერსიტეტის ფილიალი, სადაც 150 ძიუდოისტი გადის სპეციალიზაციას. იქ ძიუდოს განყოფილების უფროსია ცნობილი ძიუდოისტი კაზივაზაკი. მან ყოველი ფანდი ფირზე გადაიღო და მეცადინეობებზეც ნახევარ დროს ქართულ ჭიდაობას უთმობდა.

ამით ერთი რამის თქმა მინდა: მარტო იმისათვის, რომ ქართული ვიჭიდაოთო, არც ერთი უცხოელი არ შეიწუხებს თავს. ჩვენ უნდა დავანახოთ და დავარწმუნოთ ისინი, რომ ჭიდაობის ეს სახეობა პრაქტიკულად გამოადგებათ და მათ საქმეს წინ წასწევს. ჩვენ ისინი უნდა დავაჯეროთ ამაში. თავში რომ გითხარით, საჭიროა მეთოდებისა და საშუალების ძებნა-მეთქი, ამას ვგულისხმობდი. ვფიქრობ, თავდაჩირველად მაინც სწორედ ამ კუთხით უნდა მივუდგეთ ქართული ჭიდაობის საერთაშორისო სარბიელზე გატანის პერსპექტივებს.

ეროვნული ბიბლიოთეკ

● ისევ პირველ კითხვას დავუბრუნდეთ. თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში არც ისე ცუდად არის ქართული ჭიდაობის საქმე?

— ცოტა შორიდან დავიწყებ. ჭიდაობა განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა ომის შემდგომ წლებში. თბილისელებს, ალბათ, ახსოვთ ცირკსა და მაშინდელი ლენინის სახელობის დარბაზში ჩატარებული შეჯიბრებები, თუ რა ჯაფა ადგებოდა მილიციის ცხენოსან დივიზიას წესრიგის დასამყარებლად.

ამ საქმეს თაობდა ორი ადამიანი: მიხეილ ხერხეულიძე და ნიკო კეცხოველი. ამ უკანასკნელმა ქართული ჭიდაობის დიდი ცენტრიც კი შექმნა უნივერსიტეტში.

წავიდა ეს თაობა და თითქმის მივიწყებას მიეცა სპორტის ეს სახეობა. მცირე გამოცოცხლება, რაც ამ პერიოდში შეიმჩნეოდა, იყო ის, რომ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“ ყოველწლიურად მართავდა შეჯიბრებებს.

ვფიქრობ, უკანასკნელ წლებში ისევ დაიწყო ქართული ჭიდაობის აღმავლობა, ამის დასტურია ის, რომ სისტემატურად ტარდება რესპუბლიკის აბსოლუტური პირველობები. წლეულს გაიმართა პირველი საერთაშორისო ტურნირიც კი, სადაც ერთ-ერთი ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიელი მოჭიდავე გახდა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ჭიდაობის ფედერაციას და საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს სიმონ მაისურაძეს.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ შარშან ავირჩიეთ ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ბიჭიკო შინჯიაშვილი. სწორედ იმ სხდომაზე განვიხილეთ საერთაშორისო ტურნირების ჩატარების საკითხი. მაშინ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: რომელ საერთაშორისო ასპარეზობაზეა ლაპარაკი, როცა საქართველოში ქართული ჭიდაობის ერთი სპეციალიზებული ჯგუფიც კი არ მუშაობს. აღარაფერს ვამბობ დარბაზებზე, ამასთან შედარებით დიდ ფუფუნებად რომ მოგეჩვენებათ. ვთქვათ, საქართველოში ჩამოსულმა უცხოელმა სპორტსმენმა გვთხოვა, მაჩვენეთ, როგორ ვარჯიშობთო, რა ვუპასუხოთ?

მიუხედავად ამისა, ჭიდაობა დღეს მაინც აღმავლობის გზაზეა. საზოგადოებამ იწყო შემობრუნება; ისევ მიაპყრო მას უურადღება. სწორედ ახლაა საჭირო ჩვენი, სპეციალისტების გარჯა, მისთვის ხელი წაშველება.

ერთ საკითხზე მინდა გავამახვილო უურადღება ამასთან დაკავშირებით: კარგა ხანია სპორტსახკომმა აღძრა შუამდგომლობა საათანადო ორგანოებში იმის თაობაზე, რომ ქართული ჭიდაობის სპეციალიზებული დარბაზის ასაშენებლად თბილისში გამოიყოთ ტერიტორია. დღემდე საქმე ადგილიდან ჯრ იძვრის.. ჩვენ მიწის ნაკვეთის გარდა არაფერს ვითხოვთ: არის პროექტი, გვაქვს თანხები, მასალები, ყველაფერი, რაც დარბაზის შშენებლობას დასჭირდება. ამ საქმეს გულისხმიერად ეკიდება ჩვენი სპორტსახკომისა და მით უმეტეს თავად ფედერაციის თავმჯდომარე. ასე რომ, ახლა ჯერი იმ კომპეტენტურ ორგანოებზეა, ვისაც ტერიტორიის გამოყოფა ევალებათ. ხუ დავიშურებთ ნურაფერს ქართული ჭიდაობისათვის. ის ნამდვილად იმსახურებს ჩვენგან უურადღებასაც, გულისხმიერებასაც და ზრუნვასაც. მით უმეტეს, რომ დღეს მთელ მსოფლიოში ყველაფერს ეროვნულს, ძირძველსა და ტრადიციულ თვალისჩინივით უფრთხილდებიან.

ნუ ვთქმევინებთ ცხრა მთას იქიდან მოსულ ხალხს, ჩვენ თქვენი ჭიდაობა გვაინტერესებს და თქვენ საკუთარიც არ გახსოვთო.

ესაუბრა მ. ჯორბენაძე.

ხურათებზე: ბიძინა მაზიაშვილი ამეცადინებს იაპონელ მოჭიდავეებს.



მატჩი მსოფლიო პირველობაზე

კვლავ „დეტექტური“ სიუჟეტი

მეოთხე პარტიას უნდა ეპასუხა კითხვაზე — „შეაკეთა“ თუ არა კარპოვმა ის სადებიუტო ვარიანტი, რომელმაც მას მეორე შეხვედრაში მარცხი შეამთხვია. რა თქმა უნდა, მას შეეძლო ხელიც აეღო შავებით ესპანურ პარტიაზე და რომელიმე სხვა დასაწყისისათვის მიემართა.

როცა კასპაროვმა შეხვედრა მეფის წინა პაიკით დაიწყო, ექსჩემპიონი კვლავ დაყაბულდა ესპანურ პარტიაზე, ეტყობა, გადაწყვიტა, რომ დებიუტის შეცვლა ჯერ ნაადრევია. გათამაშდა იგივე „ზაიცევის ვარიანტი“, პირველი 14 სვლა მეორე შეხვედრისას დაემთხვა. მეთხუთმეტე სვლით კარპოვმა შეცვალა დაცვის გეგმა, პაიკით ითამაშა, სწორედ ისე, როგორც 1986 წლის მატჩის ლენინგრადის ნახევრის მეთოთხმეტე და მეთექვსმეტე პარტიებში. როცა ჩემპიონმა ცენტრი ჩაკეტა, როგორც ეს ამ სისტემისათვის არის კიდეც დამახასიათებელი, კარპოვი შეეცადა თეთრების ცენტრალურ უჯრაზე შეტევის მიტანას. ყველაფერი ეს ადრეც მომხდარა, შემდეგ კი...

შემდეგ დაიწყო ისეთი უჩვეულო, შეიძლება ითქვას, „ნეორომანტიკული“ თამაში, რომელიც ამ მატჩისათვის არის დამახასიათებელი. კასპაროვი არ ერიდებოდა შეწირვებს, ოღონდ კი მეტოქის მეფის ფრთისათვის რეალური საფრთხე შეექმნა. 21-ე სვლაზე ექსჩემპიონი იძულებული იყო მიეღო პაიკის შეწირვა, შემდეგ კასპაროვმა მეტოქეს ხარისხიც შესთავაზა. რათა მისი ძლიერი თეთრუჯროვანი კუსათვის გზა გადაეკეტა. ექს-ჩემპიონმა ეს მსხვერპლი უკვე აღარ მიიღო, მაგრამ კიდევ ერთი პაიკის მოგება მაინც მოუხდა. გასაგებია, ეს ვერაფერი საჩუქარი იყო, მაგრამ შავებს სხვა გზა არ ჰქონდათ.

ახლა საქმე ის იყო, შეძლებდნენ თუ არა თეთრები თამაშში თავისი „ესპანური კუს“ ჩართვას. ეს მათ შეძლეს, მაგრამ უარეს პოზიციაში, სადაც მას არაერთი საფრთხე ემუქრებოდა. კარპოვი უაღრესად ზუსტად იცავდა თავს. რა თქმა უნდა, მის მატერიალურ უპირატესობას ახლა რაიმე რეალური მნიშვნელობა არ ჰქონდა — შავებს მხოლოდდამხოლოდ პარტიის გადარჩენაზე უნდა ეფიქრათ. ექს-ჩემპიონმა მიაგნო დაცვის ერთადერთ გზას, რომელიც ლაზიერის მანევრთან იყო დაკავშირებული. შავების დასუსტებული მეფის ფრთა, რომელსაც ერთდროულად ლაზიერი, კუ და მხედარი უტევდნენ, მაინც ძნელად დასალაშქრი აღმოჩნდა.

38-ე სვლისთვის კასპაროვი თავისებური დილემის წინაშე აღმოჩნდა: მუდმივი ქიშით პარტია ყაიმით დაემთავრებინა, ან მოგებაზე თამაშის რაიმე გზა ეძებნა. ასეთი გზა ვერ გამოინახა—დაფაზე ხომ ფიგურების მცირე რაოდენობა იყო დარჩენილი, ამიტომ, თუმცა 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო, იგი აღარც განახლებულა — მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამ „დეტექტური სიუჟეტის“ მქონე ჩახლართულმა პარტიამ, სადაც შეტევა და დაცვა თანაბარი სიძლიერისანი აღმოჩნდნენ, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ანგარიში გახდა 2,5:1,5 კასპაროვის სასარგებლოდ.

მატჩის ირგვლივ

მეოთხე პარტიის წინ მოასპარეზეთა ატრიბუტიკაში ერთგვარი ცვლილებები მოხდა. პრეტენდენტის გუნდის უფროსის წინადადებით, სააპელაციო ჟიურიმ განიხილა დროშების საკითხი და გადაწყვიტა, რომ რუსეთის სამფეროვანი ალამი, რომლის ქვეშაც თამაშობს მსოფლიოს ჩემპიონი, მატჩის წესების ერთ-ერთ პუნქტს ეწინააღმდეგება. ორგანიზატორებმა ორთავე ალამი მოაცილეს სათამაშო მაგიდას და ამით, ერთგვარად, კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღეს. მატჩი გაგრძელდება ამ ატრიბუტიკის გარეშე თუ, რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებას ახალი პროტესტი არ მოჰყვა.

რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ რას ფიქრობდნენ დიდოსტატები მეოთხე პარტიის შემდეგ.

ი. სეირავანი: „ძალზე რთული პარტია იყო, რომელშიც ორივე მხარემ შეტევის ბრწყინვალე ხელოვნება უჩვენა. ჩემი ღრმა რწმენით, კარპოვსაც და კასპაროვსაც ჰქონდათ მოგების შანსი“.

ჯ. ფედოროვი: „ასეთი ღია თამაში მსოფლიოს ჩემპიონატების პრაქტიკაში იშვიათია. კარპოვი საკმაოდ ჯიუტი მებრძოლი ყოფილა, ვინაიდან მან ერთხელ კიდევ მიმართა ესპანურ პარტიას. მას რომ, ვთქვათ, კარო-კანის დაცვა გამოეყენებინა, ვიფიქრებდი, ფსიქოლოგიურ კაპიტულაციას მოაწერა ხელიო. როგორც ირკვევა, სიურპრიზების მარაგი პრეტენდენტსაც ჰქონია. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო პარტია და, ამავე დროს, იმის ნიშანი, რომ კარპოვს ბრძოლა შეუძლია“.

ს. რეშევსკი: „ფავორიტად ამ მატჩში კასპაროვი მიმაჩნია, მაგრამ შეიძლება ძალთა შეუფასებლობა მოხდეს, ეს კი ცუდ სამსახურს გაუწევს ჩემპიონს. მე ასე ვიტყოდი: კარპოვს ალბათ არ შეუძლია კასპაროვის დამარცხება, მაგრამ შესაძლებელია კასპაროვი თვითონ დამარცხდეს“.

ბ. სპასკი: „თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, მატჩი კასპაროვმა უნდა მოიგოს, ვინაიდან შანსი მას უფრო მეტი აქვს; მაგრამ დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლება. ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ნებისმიერ შედეგზე გარეგანი ფაქტორები მოქმედებენ“.

ვ. კორჩნოი: „ჩემი პროგნოზი, რა დაგიმალოთ და, არ არის ობიექტური. კასპაროვთან კარგი ურთიერთობა მაქვს და სულითა და გულით მას ვეომაგობ. კარპოვი კი ის პიროვნება გახლავთ, რომლის მიზეზითაც დავტოვე საბჭოთა კავშირი და უცხოეთში გადავედი საცხოვრებლად. მე კასპაროვის მჯერა“.

შეგახსენებთ რომ, ვ. კორჩნოის ამ ცოტა ხნის წინ დაუბრუნეს საბჭოთა მოქალაქეობის სტატუსი და მას სამშობლოში დაბრუნება შეუძლია. ამასთან დაკავშირებით კორჩნოიმ განაცხადა: „კარგი ხანია ჩემი ცხოვრება აღარ ეთანხმება საბჭოთა კავშირის სინამდვილეს, ალბათ ამიტომ ამ შესაძლებლობას აღარ გამოვიყენებ“.



კარატე — ეს არის სულისა და სხეულის ჰარმონიული განვითარება;
კარატე — ეს არის თავდაცვის ყველაზე საიმედო საშუალება;
კარატე — აკეთილშობილებს ადამიანის ხასიათს და იგი გახდება სამართლიანობის მტაცეცელი.

გთავაზობთ მეთოდურ კრებულს დამწყები სპორტსმენების მოსამზადებლად — „კარატეს ტექნიკის საფუძვლები“. აქ აღწერილი და ილუსტრირებულია ძირითადი ილეთები, აღნიშნულია ის შეცდომები, რომლებიც მოწაფეებს ახასიათებთ.

კრებულის ფასი 25 მანეთია.

შეკვეთების გაფორმება შეგიძლიათ საფოსტო ღია ბარათით შემდეგ მისამართზე: 694050, სახალინის ოლქი, სოფ. ნოვოალექსანდროვსკი, საფოსტო უთი 14 „მაზალევსკი და კომპანია“ (Мазалевск и К“). ფოსტით გამოგზავნის დასაჩქარებლად ფული გადარიცხეთ № 60601 ანგარიშსწორების ანგარიშზე აგრომრეწვბანკის ანივსკის განყოფილებაში და გამოგვიგზავნეთ ქვითარი კონვერტში, რომელზეც მითითებული იქნება თქვენი მისამართი.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე შორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ინდექსი 50458. სარედაქციო კოლეგიის ელ. ფოსტის ნომერი 292202, თბილისი, ფეფინის ქ. 16. ოფსეტური ბეჭდვა წერილ ბიუროს კომბინატში, ბარნოვის ქ. 27.